ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი წევრის და ფრაქცია „თბილისელები"-ს თავმჯდომარის

გიორგი მუსხელიშვილის
2016 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე საქმიანობის ანგარიში

გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი წევრი და საკრებულოს ფრაქცია „თბილისელების" თავმჯდომარე, უპარტიო.

ფრაქციის ძირითადი მიზნებია:

საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა.

დედაქალაქის მაცხოვრებელთა საქალაქო ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა;

ღია საზოგადოებრივი კამპანია დედაქალაქის წინაშე მდგარი მწვავე და კრიზისული პრობლემების აღმოფხვრის საქმეში;

სკოლამდელი და სასკოლო რეფორმების ხელშეწყობა;

კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიზება-ხელშეწყობა;

კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა;

თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობა;

დედაქალაქის ადმინისტრაციული მართვის სისტემის და არჩევითი ორგანოების საქმიანობის დაქვემდებარება დემოკრატიული პრინციპებისადმი;

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 3 ფურცელი
№10/17599 28.10.16

აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად ფრაქცია იყენებს ყველა კანონიერ გზას, ფორმასა და საშუალებას.

2016 წლის 1 იანვრიდან დღემდე ჩატარდა 23 ფრაქციის სხდომა, სადაც განვიხილეთ 151 საკითხი.

ვარ ქალაქ თბილისის ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი.

- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში 10 თვის მანძილზე ჩატარდა 28 სხდომა და განხილული იქნა 164 საკითხი.
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში 10 თვის მანძილზე ჩატარებულ იქნა 18 სხდომა, განხილული იქნა 23 საკითხი.

10 თვის მანძილზე ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა 25 საკრებულოს სხდომა, 25 ბიუროს სხდომა. მიღებულია 75 დადგენილება და 341 განკარგულება.

ვაკის გამგეობასთან და მუნიციპალიტეტთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ჩვენს რაიონში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

1. კიბეების რეაბილიტაცია ტაბიძის ქ. 100
2. სტადიონების რეაბილიტაცია ჭავჭავძის 11, ფალიშვილის 41, წყნეთის გზატკეცილი 1 და 2 კორპუსებს შორის, წყნეთის ქ. 14, ჭავჭავაძის 80
3. ასფალტის საფარი დაიგო ნაფარეულის ქუჩაზე, ატენის 24, მოსაშვილის 8, სვანიძის ქუჩაზე, ატენის 3, ცხვედაძის 26-დან ცხვედაძის 1 ჩიხი 40-მდე,

თაყაიშვილის 5, კეკელიძის 19, წყნეთის გზატკეცილი 24-36, აბაშიძის 35, შატბერაშვილის 2 ჩიხი, ფალიშვილის 59-61.

4. ასფალტის საფარის ორმოულები: თამარაშვილის 10ა, მოსაშვილის ქუჩა, კავსაძისა და ნაფარეულის ქუჩები, კავსაძის ქუჩის ტროტუარი, აბაშიძის 46, 56,65,67,68,69,70, წყნეთის გზატკეცილი 22, ჭავჭავაძის 49ბ, გაბაშვილის 4, ჭავჭავაძის 12, ყიფშიძის 14, აბაშიძის 14ა, კავსაძის 5, ჭავჭავაძის 49ა, გაბაშვილის 3, მზიურის მიმდებარე ტერიტორია, ჭავჭავაძს 75ა-75ბ, ჭავჭავაძის 20, ბარნოვის 83, ნაფარეულის 4, ყიფშიძის 3ბ, წყნეთის გზატკეცილი 14-16, უჩანეიშვილის5, ცხვედაძის 40-58ა, ცხვედაძის 60, აბულაძის ქუჩა, ჭავჭავაძის 53, აბაშძის 86, ფალიაშვილის 12, ატენის 20, ბაგები 2 კორპუსი, ატენის 3, კავსაძის ქუჩა, ჭავჭავაძის 12, აბაშიძის 41, აბაშიძის 14-16, არაყიშვიის 9, ჭავჭავაძის 62, ტაბიძის 94, ბერძენიშვილის ქუჩა, თამარაშვილის 7.
5. მოეწყო სანიაღვერეები: მოსაშვილის 8, კეკელიძის 25, არაყიშვილის მეორე ჩიხი #12, ცხვედაძის 40ა, წყნეთი რუსთაველის 22, თამარაშვილის 10ა.
6. დასრულებულია სკვერების რეაბილიტაცია: აბაშიძის 41, წყნეთის ამილახვარის 3, წყნეთი გრიშაშვილის 2, წყნეთი თამარ მეფის 17/19, წყნეთი აფხაზეთის ქუჩა, ხოლო ყიფშიძის 2-4, ბაგები სტუდქალაქი მე-4 კორპუსი (მიმდინარეობს სამუშაოები), ბაგები სტუდქალაქი მე-5 კორპუსი (მიმდინარეობს სამუშაოები), კუს ტბის მიმდებარე ტერიტორია (მიმდინარეობს სამუშაოები)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ოფისი მდებარეობს ფალიაშვილის 33. მოქალაქეების მიღების დღე არის ოთხშაბათი, ოფისი ფუნქციონირებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 დან 18:00 საათამდე.

პატივისცემით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი

გიორგი მუსხელიშვილი